



საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი

„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“

სიმპოზიუმი ეძღვნება ქართლის მოქცევის 1700 წლის იუბილეს

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავი წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას, რომ კიდევ ერთხელ წარმოჩნდეს ჩვენი ქვეყნის ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში, გავაცნობიეროთ და გავითავისოთ საქართველოს სულიერი და ისტორიული გზა, მისი კულტურული მემკვიდრეობა და ფასეულობები, რაზეც დაფუძნებულია ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა.

საერთაშორისო სიმპოზიუმი „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“ მიზნად ისახავს ამ ფასეულობებს შორის ურთიერკავშირის მრავლმხრივ გააზრებას – ისტორიულ, თეოლოგიურ, ფილოსოფიურ, კულტურულ და სოციოლოგიურ ჭრილში.

ღონისძიება გააერთიანებს ადგილობრივ და უცხოელ მკვლევარებს, რათა მოხდეს მათი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, დიალოგის გაღრმავება და იმ საერთო ფასეულობების გამოკვეთა, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ჰქმნიდნენ კაცობრიობის სულიერ და ინტელექტუალურ საგანძურს!

სიმპოზიუმზე იმუშავებს შემდეგი სექციები:

1. ისტორია, ეთნოლოგია, არქეოლოგია;
2. ენა და ლიტერატურა;
3. კულტურა და ხელოვნება;
4. რელიგია და მეცნიერება;
5. მარტვილობა და მოქალაქეობა

სიმპოზიუმში მონაწილეობის მსურველებმა მოხსენების სრული ტექსტი უნდა წარმოადგინონ ვორდ-ის ფაილით, 5 გვერდი A-4 ფორმატში, შრიფტით – აკად ნუსხური, ზომა – 12 კეგლი, 1,5 ინტერვალით. სიმპოზიუმის სამუშაო ენებია: ინგლისური და ქართული.



საქართველოს მართლმადიდებელ
ეკლესიასთან არსებული
ქრისტიანული კვლევის
საერთაშორისო ცენტრი

INTERNATIONAL CENTRE FOR
CHRISTIAN STUDIES AT THE
ORTHODOX CHURCH OF GEORGIA

სიმპოზიუმი გაიმართება 2026 წლის 10-13 ოქტომბერს. სიმპოზიუმის მასალები გამოქვეყნდება „ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის“ სამეცნიერო ჟურნალ „ლოგოსში“.

სიმპოზიუმის ორგანიზატორია: საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული „ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი“.

ჩვენისაკონტაქტო კოორდინატებია:

თბილისი, 0179. ნ. რამიშვილის ქ. №35ა, სადარბაზო 1, ბინა 1.

ტელ: +995 93 78 18 23

ვებ-გვერდი: www.logos.org.ge

ელ. ფოსტა: logos.iccr@yahoo.com

სამეცნიერო სიმპოზიუმის
საორგანიზაციო კომიტეტის
თავმჯდომარე აკად. დავით მუსხელიშვილი